თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №გ-131. 1312309011

2023 წლის 31 მარტი

დაბა თიანეთი

თიანეთის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ახალსოფელი, გოჯიაანები, კაწალო, ჩაბანო, ჭიაურა და ხაიშოში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ახალსოფელი, გოჯიაანები, კაწალო, ჩაბანო, ჭიაურა და ხაიშოში მდებარე უსახელო ქუჩებს მიენიჭოს სახელი დანართი №1-ის და თანდართული რუკების შესაბამისად.
2 თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება .
3. განკარგულება გადაეგზავნოს თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება გადაგზავნილ იქნეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნებულ იქნეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.
5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით თიანეთის რაიონულ სასამართლოში დ. თიანეთი, რუსთავლის ქ. №47

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს

თავმჯდომარე სოსო მამულაშვილი